

## საქართველოს კანონი

### „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში დამატების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონს (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №20, 04.05.2005, მუხ.143) დაემატოს შემდეგი შინაარსის 22<sup>1</sup> მუხლი:

„მუხლი 22<sup>1</sup>. უცხო ქვეყნის მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა ვაუჩერული დაფინანსება

1. ამ კანონის 22-ე მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული საერთაშორისო ხელშეკრულების ან/და შეთანხმების ან ნაცვალგების პრინციპის არ არსებობის შემთხვევაში, უცხო ქვეყნის მოქალაქე ან მოქალაქეობის არმქონე პირი ზოგადი განათლების მიღების უფლებას მოიპოვებს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან შესაბამისი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ერთ მოსწავლეზე გათვლილი ფინანსური ნორმატივის შესაბამისი სტანდარტული ვაუჩერით.

2. უცხო ქვეყნის მოქალაქე ან მოქალაქეობის არმქონე პირი ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ვაუჩერის მისაღებად განცხადებით მიმართავს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, ამ ვაუჩერის შესაბამისი თანხის ბიუჯეტის შემოსულობების შესაბამის სახაზინო კოდზე შეტანის შემდეგ კი მიიღებს სტანდარტულ ვაუჩერს.

3. უცხო ქვეყნის მოქალაქისა და მოქალაქეობის არმქონე პირის მიერ ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ ანგარიშზე სტანდარტული ვაუჩერის შესაბამისი თანხის შეტანის დამადასტურებელი დოკუმენტის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში წარდგენა, ამ პირზე სტანდარტული ვაუჩერის გაცემის საფუძველია.

4. უცხო ქვეყნის მოქალაქეებსა და მოქალაქეობის არმქონე პირებზე გაზრდილი ვაუჩერის გაცემას სტანდარტული ვაუჩერის შესაბამისი თანხის გამოკლებით ან დამატებით დაფინანსებას უზრუნველყოფს სახელმწიფო ამ კანონით დადგენილი წესით.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი